სწავლა-სწავლებისა და შეფასების
რეკომენდირებული მეთოდები მედიცინისა და სტომატოლოგიის
ერთსაფეხურიანი პროგრამებისათვის

წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები სარეკომენდაციო/საორიენტაციო ხასიათისაა. ლექტორს შეუძლია ზოგიერთი მათგანი გამოიყენოს ან ჩაანაცვლოს სხვა მეთოდით/აქტივობით, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების რეკომენდირებული მეთოდები და აქტივობები

ლექცია - აკადემიური დროის მონაკვეთი, როდესაც პროფესორი, ახალი ცოდნის ფორმირების მიზნით, ზეპირი ფორმით, სტუდენტურ აუდიტორიას გადასცემს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული ან სპონტანურად წარმოშობილი თემატიკის მიხედვით. ლექციამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა სააზროვნო აქტივობა, ემოციური კავშირის დამყარება ლექტორსა და სტუდენტებს შორის, ანუ ინტერაქტიური გარემოს შექმნა, რისთვისაც გამოყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ინდუქცია, დედუქცია, დემონსტრირება თვალსაჩინო მასალის ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და სხვ. ლექცია შეიძლება ჩაატაროს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ან დარგში აღიარებულმა, ან პრაქტიკოსმა სპეციალისტმა, ან ლექცია შეიძლება ჩატარდეს პრაქტიკის ობიექტზე, დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ.

სალექციო მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები

ინტერაქტივი:

ლექციის ფარგლებში, თემის დამუშავება, სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატით ან სემინარის ფარგლებში კონკრეტულ საკითხზე/თემაზე/პრობლემაზე მუშაობა დიალოგის ფორმატით. აქტივობა შეიცავს დედუქციური და ევრისტიკული სტრატეგიების ელემენტებს.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის აღქმისა და სინთეზის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- ოპერატიულ აზროვნებას

მეთოდი უზრუნველყოფს:

- სტუდენტთა ყურადღების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას და შენარჩუნებას
- გადაცემული მასალის/ინფორმაციის გაგების ხარისხის ექსპრეს მონიტორინგს მეცადინეობის მთელ პერიოდზე

პრეზენტაცია:

ლექციის ფარგლებში მასალის/ინფორმაციის ვიზუალიზაციისათვის ელექტრონული ან მატერიალური საშუალებების გამოყენება.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის გაგების უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- კომუნიკაციის უნარს

მეთოდი უზრუნველყოფს:

- მაღალ მნემურ ეფექტს, რაც მიიღწევა ინფორმაციის გადაცემის აუდიო და ვიზუალური საშუალებების სინთეზური გამოყენებით.

რეკომენდაცია: რეკომენდირებულია ინტერაქტიური და საპრეზენტაციო ლექციების კომბინაცია, რაც საგრძნობლად აამაღლებს სასწავლო ეფექტს

დარგის სპეციალისტის ლექცია:

ლექცია, რომელსაც ატარებს დარგის ცნობილი სპეციალისტი/ექსპერტი, მათ შორის, პრაქტიკოსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემაზე ან თანამედროვე პრაქტიკული მიღწევების, ან უახლესი მეცნიერული მიღწევების შესახებ

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას, რთული და არასრული ინფორმაციის გაგების უნარს
- სპეციალისტთა საზროვნო კლიშეების გაცნობას და გამოყენებას (სპეციალისტთა წრეში პროფესიული კომუნიკაციის უნარის ფორმირებისთვის)
- პროფესიული სიამაყის გრძნობას და პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ახლებურად გააზრების უნარს
- პროფესიული მოტივაციის გაღრმავებას.

ვიდეო მასალის ჩვენება-კომენტირება:

ლექცია, რომელიც ტარდება ვიდეო მასალის ჩვენებით, გამოიყენება, როგორც დამხმარე ხერხი თეორიულად განხილული საკითხების ვიზუალიზაციის, ცალკეული თეორიების, დებულებების დადასტურების ან პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირებისთვის.

მეთოდი განავითარებს:

- სისტემურ ცოდნას
- პრაქტიკული მაგალითების ანალიზის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასმული საკითხის/პრობლემას მრავალმხრივად შეფასების უნარს

მეთოდი უზრუნველყოფს:

- სწავლის მოტივაციის ამაღლებას
- მაღალი მნემური ეფექტის მიღწევას ვერბალური და ვიზუალური კომუნიკაციის სინთეზის გზით

ექსპრეს გამოკითხვა:

გულისხმობს ლექციის ბოლოს რამდენიმე წუთის გამოყოფას და სტუდენტებისგან, წერილობითი ფორმით, ინფორმაციის მიღებას გადაცემული/დამუშავებული მასალის გაგების შესახებ.

აქტივობა არ გამოიყენება სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის.

აქტივობა ეფექტურია უკუკავშირის მიზნებისათვის, პროფესორს/მასწავლებელს ეხმარება შეაფასოს ჩატარებული მეცადინეობის ხარისხი, გამოყენებული მეთოდის ეფექტურობა.

გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახით: სტუდენტებს მიეცემათ 1-2 წუთი, რომ ნახევარ გვერდზე უპასუხონ ორ მსგავს კითხვას:

- რას თვლიან ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად/საკითხებად ჩატარებული ლექციიდან
- ყველაზე ნაკლებად რა საკითხი/საკითხები არის მათთვის გასაგები (ამ ფორმით კითხვის დასმა განპირობებულია გულწრფელი პასუხის მიღების მიზნით).

ან შეიძლება დაევალოთ ერთი წინადადებით ან ერთი აბზაცით შეაჯამონ ლექცია და სხვა.

აქტივობა განავითარებს:

- თვითანალიზის უნარს
- საკუთარი შემეცნებითი პროცესის მართვის უნარს
- სასწავლო მოტივაციას
- საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზისა და შეფასების უნარს
- პროფესორის მხრიდან - მეცადინეობის უკეთ დაგეგმვას, სწავლების ეფექტური მეთოდების შერჩევას

სემინარი / სამუშაო ჯგუფში მუშაობა

სემინარი:

მეცადინეობა, რომელიც გულისხმობს პროფესორის ან პროფესორის ასისტენტის, ან მასწავლებლის მუშაობას სტუდენტთა მცირე ჯგუფთან, რომლის მიზანი შეიძლება იყოს:

- ლექციით მიღებული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება;
- პრობლემის კრიტიკული ხედვისა და ანალიზის უნარის განვითარება;
- მეცნიერული/კვლევითი აზროვნების ფორმირება/განვითარება;
- დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარება;
- დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურობის ხარისხის შეფასება.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა:

გულისხმობს პროფესორის ან ასისტენტის, ან მოწვეული სპეციალისტის მუშაობას სტუდენტთა მცირე ჯგუფთან ლექციაზე მიღებული ცოდნის განმტკიცების ან/და

დარგობრივი და ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. შესაძლებელია კონკრეტული აქტივობის გამოყენება სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად.

სემინარის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდებით გათვალისწინებული სასწავლო აქტივობები

დებატები:

დასმული პრობლემის, საკითხის გარშემო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო. ჯგუფები ირჩევენ სპიკერებს, რომლებიც ჯგუფში ჩამოყალიბებული აზრის პრეზენტაციას აკეთებენ სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, პოსტერის გამოყენებით. პრეზენტაციის შემდეგ თითოეული ჯგუფი სვამს კრიტიკულ შეკითხვებს.

აქტივობა განავითარებს:

- ჯგუფური მუშაობის კულტურას, ზოგადად, და გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების უნარს
- ინფორმაციის სელექციის უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- სხარტ და კრიტიკულ აზროვნებას
- პრობლემის გაცნობიერებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- ორიგინალური იდეების შემუშავების უნარს

აქტივობა ხელს უწყობს:

- პროფესიულ-ეთიკური ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვათა დამოკიდებულების შეფასების უნარს.

დისკუსია:

მეცადინეობა, რომლის დროსაც სტუდენტები იხილავენ ლექტორის მიერ მიწოდებულ ან სტუდენტის მიერ წამოჭრილ პრობლემას, თემას, საკითხს, ან მოძიებულ სასწავლო/ინოვაციურ ინფორმაციას. მეცადინეობაზე შეიძლება შეიქმნას იმპროვიზირებული ჯგუფები, რომლებიც წარადგენენ ჯგუფურად შემუშავებულ არგუმენტებს.

აქტივობა განავითარებს:

- გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს
- პროფესიონალთა წრეში კომუნიკაციის უნარს
- კრიტიკული ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარს
- რთული პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების უნარს
- სრული ან არასრული ინფორმაციის შეფასების უნარს
- სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გააზრების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- სფეროს არსებული ცოდნის კრიტიკულ გააზრება/გაცნობიერებას
- ეთიკური და პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბებას
- არაპროგნოზირებად გარემოში დისკუსიის პროცესის მართვას

სიტუაციური ამოცანის ანალიზი:

სიტუაციური ამოცანა არის წარმოსახვით ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის წარმოსახვით სიტუაციას და გამოკვეთს კონკრეტულ პროფესიულ პრობლემას. სიტუაციური ამოცანის ფორმირება უნდა დაეფუძნოს გონებრივი აქტივობის იერარქიას - გაცნობა, გააზრება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.

აქტივობა განავითარებს:

- კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირების და გადაჭრის უნარს
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ეთიკურ და პროფესიულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს
- ანალიზის, სინთეზის, დასკვნის გაკეთების უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- პროფესიული და შემეცნებითი ინტერესის განვითარებას
- განვლილი მასალის ათვისების ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას

ვიდეო მასალის ჩვენება-განხილვა;

გულისხმობს პრაქტიკული მაგალითების, დოკუმენტური მასალის ვიზუალურ დემონსტრირებას და განხილვას. განხილვა შეიძლება განხორციელდეს, როგორც დებატებით, ისე ინდივიდუალური ანალიზით.

აქტივობა განავითარებს:

- კრიტიკული აზროვნების უნარს
- პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- დარგობრივი პრობლემის მიმართ ინტერესს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- მასალის ცოდნასა და გაცნობიერებაზე, აგრეთვე, ზოგადი უნარ-ჩვევების ხარისხზე მონიტორინგის განხორციელებას
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- ყურადღების მაღალ კონცენტრაციას

პრაქტიკული მუშაობა

მიზნად ისახავს ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის ფორმირებას. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მიმდინარეობს პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პროცესი ან ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავება, ან შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, ან რეალობასთან მიახლოვებული სიტუაციების გათამაშება, აგრეთვე, ამ სამუშაოთა ფარგლებში გამოვლენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.

პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდით გათვალისწინებული აქტივობები

როლური თამაში:

არის კვაზირეალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოვებულ გარემოს, სადაც სტუდენტები როლური ფუნქციის ფარგლებში წყვეტენ დასმულ ამოცანებს

აქტივობა განავითარებს:

- საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- არაორდინალურ სიტუაციაში სხარტი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს
- რთული პრობლემის შეფასებისა დ გადაჭრის ადეკვატური მეთოდის გამოყენების უნარს
- პროფესიული ღირებულებების გააზრების და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარის ფორმირებას
- პროფესიული მანიპულაციების ჩატარების უნარის ფორმირებას

სიმულაციური მუშაობა:

მატერიალურ ფაქტორთა სისტემა, რომელიც ქმნის რეალურთან მაქსიმალურად მიახლოვებულ გარემოს. სტუდენტის ამოცანაა კონკრეტულ კვაზირეალურ გარემოში იმოქმედოს პროფესიულად გამართლებული ტაქტიკით და მიიღოს მართებული გადაწყვეტილებები.

აქტივობა უზრუნველყოფს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარის ფორმირებას
- საკუთარი შეცდომების აღიარებისა და პასუხისმგებლობის აღებას სხვისი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის
- სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარის განვითარებას
- პროფესიული მანიპულაციების ჩატარების უნარის ფორმირებას
- ტექნიკის ეფექტურად გამოყენების უნარის ფორმირებას
- მართებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას

- დასკვნის გაკეთების უნარის განვითარებას

ქეისის ანალიზი:

მაგალითები პრაქტიკიდან, რომელიც დამახასიათებელია ან განსაკუთრებულია ამ თუ იმ კონკრეტული დარგისთვის (ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნას სემინარის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდების ფარგლებში).

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- კრიტიკული ანალიზის უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს
- საკუთრი შეხედულებების დასაბუთების უნარს
- ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს

ლაბორატორიული სამუშაო:

გულისხმობს კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში ლაბორატორიული ცდების/ექსპერიმენტების ჩატარებას კონკრეტული მოვლენის/პროცესის დემონსტრირების ან ამ პროცესზე დაკვირვებისა და ანალიზის მიზნით.

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- დაკვირვების უნარს
- ტექნიკის პრაქტიკულად გამოყენების უნარს
- ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- უსაფრთხოების წესების დაცვის უნარს

აქტივობა უზრუნველყოფს:

- პროფესიული ღირებულებების გააზრებას და ამ ღირებულებებით ოპერირებას.

კლინიკური პრაქტიკა/ექიმის ასისტირება / სწავლება ავადმყოფის საწოლთან

სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებული მეცადინეობა, რომელიც გულისხმობს პაციენტების მკურნალობის პროცესზე დაკვირვებას ან/და ამ პროცესში სტუდენტის უშუალო მონაწილეობას.

აქტივობა განავითარებს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს (პრაქტიკული მანიპულაციების განხორციელების უნარს)
- პაციენტთან და მის ნათესავებთან კომუნიკაციის განხორციელების უნარს
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს
- სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას

- რეალურ სამუშაო გარემოში საკუთარი შეცდომების აღიარებას და პასუხისმგებლობის აღებას სხვისი პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის
- პროფესიული ცოდნის ან/და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანის უნარს
- სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- პროფესიულიღირებულებების ფორმირებას და ამ ღირებულებებით ოპერირებას დიაგნოზის დასმის, მკურნალობის ალგორითმისა და მანიპულაციების განსაზღვრისა და ჩატარების უნარს
- სწორი გადაწყვეტილების მიღების და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარს
- დასკვნის გაკეთების უნარს

კურაცია – მეცადინეობა კლინიკური დისციპლინაში, რომელიც გულისხმობს სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული/კლინიკური მუშაობის სინთეზს საათების მაღალი კონცენტრაციის პირობებში. სავალდებულოა სტუდენტის ყოველდღიური შეფასება, რაც აისახება შუალედური შეფასების კომპონენტში, აგრეთვე, არანაკლებ, ერთი შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩატარება.

მეთოდი უზრუნველყოფს:

- დისციპლინის ფარგლებში კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას
- კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას
- კომუნიკაციის უნარის განვითარებას
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას.
- პროფესიულიღირებულებების ფორმირებას და ამ ღირებულებებით ოპერირებას
- სწავლის უნარის განვითარებას
- სასწავლო მოტივაციის განვითარებას
- ყურადღების მაღალ კონცენტრაციის მიღწევას
- პროფესორს/მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის უშუალობის ატმოსფეროს შექმნას

პრაქტიკული უნარების დემონსტრირება

პრაქტიკული მაგალითების ჩვენება, იმგვარი ოპერაციული აქტივობების განხორციელება, რომლებიც ორგანოთა ტოპოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნის გამოვლენის საშუალებას იძლევა, პაციენტის ფიზიკალური გამოკვლევა, კვლევის შედეგების შეფასება, მათი წერილობითი გაფორმება, მანიპულაციების ჩატარება, ინსტრუმენტული გამოკვლევები მიღებული შედეგების ანალიზით (დასკვნის ინტერპრეტაცია და დაზიანების სიმძიმის შეფასება), ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასება.

მეთოდი ხელს უწყობს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარის გამომუშავებას
- შესაბამისი მანიპულაციების მაღალი სიზუსტით შესრულებას
- ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარებას

PBL - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა

PBL არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც ეფუძნება პრობლემას, როგორც ახალი ცოდნის შეძენისა და ინტეგრირების წყაროს. ეს არის ახალი ცოდნის შეძენის პროცესი, რომელიც ხორციელდება სწავლის საჭიროების აღიარების საფუძველზე. მეთოდი მოიცავს დისკუსიებს სტუდენტებს შორის თავისუფლად სტრუქტურირებული პრობლემის გარშემო.

მეთოდი განავითარებს:

- თეორიულ ცოდნას
- ეფექტური კომუნიკაციის უნარს
- გუნდური მუშაობის უნარს
- პრობლემის გადაჭრის უნარს
- დამოუკიდებელი სწავლის უნარს
- ინფორმაციის გაზიარების უნარს
- სხვა თვალსაზრისის გაზიარება და პირადი სიძლიერისა და სისუსტის გამოვლენის/აღიარების უნარს
- კრიტიკული შეფასების უნარს
- საჭირო ლიტერატურის მოძიების უნარს

CBCR - შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება

CBCR პრობლემების აქტიური ანალიზის მეთოდია, რომლის მიზანია სწავლება კონკრეტული კლინიკური მაგალითების საფუძველზე (შემთხვევის ანალიზი). ეს ჯგუფური მუშაობა ეფუძნება მსჯელობას რთული, ატიპური შემთხვევის შესახებ, რომლის დროსაც საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება, დიაგნოზის დიფერენცირება და განსაზღვრა.

მეთოდი განავითარება:

- ანალიტიკური და კლინიკური აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარებს
- ჯგუფური მუშაობისა და მართებული გადაწყვეტილების მიღების უნარს
- დისკუსიებში მონაწილეობის და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს
- ჯგუფური მუშაობის უნარს
- განსხვავებული აზრის ფორმირების უნარს
- აქტივობების დაგეგმვისა და შედეგების განჭვრეტის უნარს

მუშაობა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით:

გულისხმობს მეცადინეობას, რომელზეც გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიები კონკრეტული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, აგრეთვე, სტუდენტის მიერ ამ ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის.

აქტივობა განავითარებს:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს სასწავლო მიზნებისთვის და/ან კონკრეტული დარგობრივი/სამსახურებრივი ამოცანის გადასაჭრელად
- ინფორმაციის მოძიების და მართვის უნარს
- საკომუნიკაციო-საპრეზენტაციო უნარს

ელექტრონული რესურსებით სწავლა

ითვალისწინებს კომუნიკაციას ლექტორსა და სტუდენტს შორის ელექტრონული რესურსის გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს კონსულტაცია, დავალებების გაგზავნა, ფორუმი და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მეთოდი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისთვის კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

შეფასების რეკომენდირებული მეთოდები მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამებისათვის

სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია/გამოკითხვა არის შეფასების ზეპირი ფორმა, რომელიც ავლენს:

- მასალის ღრმა, სისტემური ცოდნას - ფაქტებისა და მოვლენების, ტენდენციების, პროცესების კრიტიკულად გააზრების ხარისხს
- სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების უნარს
- აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარს

პრაქტიკის ანგარიში - პრაქტიკის შედეგების წარდგენა შესაბამისი მონაცემების ანალიზით, რეზიუმირებითა და წერილობითი ფორმით.

მეთოდი ავლენს:

- საქმისადმი პასუხისმგებლობის ხარისხს
- კლინიკის საქმიანობის შინაარსის და სპეციფიკური ასპექტების ცოდნას
- პრაქტიკული უნარების ხარისხს
- კომპლექსურ/არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვის უნარს
- პროფესიული კომუნიკაციის უნარს
- ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს
- საკუთარი და კოლეგების უწყვეტი პროფესიული განვითრების აუცილებლობის ხედვის უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- კლინიკური პრაქტიკის განვითარებაში საკუთრი წვლილის შეტანის უნარს
- მონაცემების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის გაკეთების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ანგარიში სრულად ასახავს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს
- აჩვენებს სამუშაო ფუნქციის შესრულებისას პრობლემის ხედვისა და გადაჭრის გზების დასახვის უნარს სტანდარტული და/ან გამორჩეული მეთოდით
- სტუდენტი აჩვენებს ღრმა თეორიულ ცოდნას, გააზრებული აქვს დარგის უახლესი მიღწევები და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში
- ანგარიშს წარადგენს ჯგუფისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე თავისუფლად, ადეკვატურად და დამაჯერებლად

ანგარიში ლაბორატორიული მუშაობის შედეგების შესახებ ან ლაბორატორიული სამუშაო

მეთოდი ავლენს:

- თეორიული მასალის ხარისხიან ცოდნას
- ლაბორატორიული სამუშაო ჩატარების უნარს

- კომპლექსურ/არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვის უნარს
- პროფესიული კომუნიკაციის უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- ლაბორატორიული პრაქტიკის განვითარებაში საკუთრი წვლილის შეტანის უნარს
- უსაფრთხოების წესების დაცვის უნარს
- მონაცემების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის გაკეთების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- ქმნის ლაბორატორიული სამუშაოსთვის შესაბამის გარემოს
- აჩვენებს ცდის/ექსპერიმენტის ჩატარებისა და შედეგების სწორად ინტერპრეტირების უნარს
- იცავს უსაფრთხოების წესებს

პორტფოლიო

მეთოდი ავლენს:

- ცოდნის დოკუმენტირების უნარს
- ცოდნის სისტემატიზაციის უნარს
- თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების უნარს
- თვითშეფასების უნარს
- საკუთარი მიღწევებისა და ხარვეზების ანალიზისა და წარდგენის უნარს
- კომუნიკაციის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი აჩვენებს თვითორგანიზების, ინფორმაციის შეგროვების და ეფექტურად ფორმირების უნარს, ავლენს პირადი განვითარების მიდევნების, საკუთარი მიღწევების კრიტიკულად გააზრების, სასწავლო საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის უნარს.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტი:

არის წერითი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც სრულდება სტუდენტის მიერ პროფესორის ხელმძღვანელობით მასთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

მეთოდი ავლენს:

- სტუდენტის სისტემურ ცოდნას აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებით ან კონკრეტული დისციპლინის კონკრეტული თემის გარშემო
- პრობლემის ხედვისა და მისი გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის უნარს
- ინფორმაციის მოძიებისთვის მატერიალური და ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე

- ინფორმაციის სტრუქტურირების, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების, ანალიზისა და სინთეზის უნარს
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნების, ამოცანების განსაზღვრის და კვლევისათვის ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარს
- პროფესიულ საზოგადოებასთან წერითი და ვერბალური (აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის შემთხვევაში) კომუნიკაციის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს აკადემიური და ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს
- კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვის უნარს
- პროფესიული ცოდნისა ან/და პრაქტიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარს
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს

ესსე

ესსე არის თხზულების ერთ-ერთი სახე, რომელიც გადმოსცემს გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებას ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ.

ესსესთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. მისი უპირატესობა თხზულების სხვა ფორმებთან ის არის, რომ ესსე შეიძლება დაიწეროს ერთი კონკრეტული საკითხის შესახებ (და არა გლობალური თემის). ესსე შეიძლება შეიცავდეს საორიენტაციო კითხვების/დავალებების პაკეტს.

განარჩევენ ესსეს ორ სახეს - ინფორმაციულსა და არგუმენტირებულს:

- ინფორმაციული ესსე გულისხმობს ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის აღწერას, ზოგად ანალიზს (და არა სიღრმისეულს), ან ახსნას.
- არგუმენტირებული ესსე წარმოაჩენს ავტორის საკუთარ პოზიციას/ მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო და, შესაბამისად, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას.

ესსეს სტრუქტურა ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება:

- შესავალი - უნდა გამოიკვეთოს მიზანი, განსახილველი საკითხები, თემის მნიშვნელობა/ აქტუალობა/მოტივაცია.
- ძირითადი ნაწილი - უნდა შეიცავდეს ავტორისეულ ანალიზს, საკუთარ პოზიციას, ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას.
- დასკვნა - აჯამებს, აკონკრეტებს ესსეში მოცემულ მოსაზრებებს.

მეთოდი ავლენს:

- წერითი კომუნიკაციის უნარს
- ფაქტის, მოვლენის, პროცესის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარს
- არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების უნარს

- საკუთარი პოზიციისგამოკვეთისა და დასაბუთების უნარს
- საკუთარი შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- აკადემიური ეთიკის დაცვის უნარს

რეფერატი:

არის სამეცნიერო ტიპის ნაშრომი, რომელსაც სტუდენტი წერს პროფესორთან შეთანხმებული თემის ფარგლებში.

განირჩევა ძირითადად ორი სახის რეფერატი - მიმოხილვითი და ანალიტიკური

- **მიმოხილვითი რეფერატი** გულისხმობს რამდენიმე წყაროს - წიგნის, სტატიის, სხვა სამეცნიერო ნაშრომის, მიმოხილვას ავტორისეული (სტუდენტის) კრიტიკული ანალიზის, კომენტარის ან საკუთარი პოზიციის კონსტატაციის გარეშე.
- **ანალიტიკური რეფერატი** - სხვადასხვა წყაროს ანალიზთან ერთად, ითვალისწინებს თემის/წყაროს მეცნიერულ/შემოქმედებით გააზრებას, კრიტიკულ ანალიზს, შეფასებას.

სამაგისტრო პროგრამებში რეკომენდირებულია, ძირითადად, ანალიტიკური რეფერატის გამოყენება.

რეფერატის სტრუქტურა სამი ნაწილისაგან შედგება:

შესავალი - თემის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთება, პრობლემატიკის ჩვენება.

ძირითადი ნაწილი - გულისხმობს, კვლევითი რეფერატის შემთხვევაში, ავტორისეული (სტუდენტის) მსჯელობას - პრობლემის შეფასებას, საკუთარი არგუმენტებისა და დებულებების წარმოდგენას.

დასკვნა - გულისხმობს საერთო დასკვნას თემის გარშემო.

მეთოდი ავლენს:

- სისტემურ ცოდნას
- კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს
- რთული პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების ძიების უნარს
- აკადემიური სტილით წერის და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით
- სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების აღქმის/გაგების, შეპირისპირებისა და მთლიან ტექსტად ფორმირების უნარს.
- ინფორმაციის მოძიებისთვის მატერიალური და ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე
- სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართის უნარს
- პრობლემის ხედვისა და გაცნობიერების უნარს
- სრული ან არასრული ინფორმაციის/კვლევის შედეგების ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს

- არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და დასკვნის გაკეთების უნარს.

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) კლინიკური კომპეტენციების შეფასების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, OSCE-ს საშუალებით შესაძლებელია ერთდროულად შეფასდეს კლინიკური კომპეტენციების მთელი სპექტრი.

მეთოდი ავლენს:

- პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შეკრების უნარები
- პაციენტის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების უნარი
- კომუნიკაციის უნარები
- მანუალური ჩვევები
- კლინიკური აზროვნება
- პროფესიონალიზმი
- დაავადებათა მართვის უნარი
- მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარი
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების უნარი და სხვ.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem-based learning-PBL) - ამ აქტივობის ფარგლებში შეიძლება ცალკეული კომპონენტები შეფასდეს. ფასდება სტუდენტის უნარი მართოს დისკუსიის პროცესი ან/და აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში – გავლენა იქონიოს ბრეინშტორმინგის გარემოს შექმნაზე, დამოუკიდებლად განსაზღვროს თემატიკისა თუ სასწავლო დისციპლინათა წრე და რესურსები, რომლებიც განაპირობებენ ამ პრობლემის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას.

მეთოდი ავლენს:

- ლიდერობის უნარებს
- კრიტიკული ანალიზისა და შეფასების უნარი
- ეფექტური კომუნიკაციის უნარს
- გუნდური მუშაობის უნარს
- პრობლემის გადაჭრის უნარს
- დამოუკიდებელი სწავლის უნარს
- ინფორმაციის გაზიარების უნარს
- პირადი სიძლიერისა და სისუსტის გამოვლენის/აღიარების უნარს
- საჭირო ლიტერატურის მოძიების უნარს

როლური თამაში/სიმულაცია

მეთოდი ავლენს:

- ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარს
- ეთიკური პრინციპებით ოპერირების უნარს
- კოლეგებთან კომუნიკაციის უნარს

- კომპლექსურ/არაპროგნოზირებად მოდელირებულ სამუშაო გარემოსთან ადაპტირების უნარს
- შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარს
- პრობლემის გადაწყვეტის უნარს
- გადაწყვეტილების მიღების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის დასმული ამოცანა, ითვალისწინებს კვაზირეალური სიტუაციის კონტექსტს და საკუთარ როლურ ფუნქციას.
- პრობლემის გადასაწყვეტად ღებულობს რაციონალურ გადაწყვეტილებას – იყენებს სტანდარტულ და/ან გამორჩეულ მეთოდებს.

ქეისის ანალიზი

მეთოდი ავლენს:

- თეორიული ცოდნის დონეს
- ცოდნის გამოყენების უნარს (შესაბამისი მეთოდების შერჩევა-გამოყენება) პრაქტიკული ამოცანების/პრობლემების გადაწყვეტისას
- აზრის ლოგიკურად განვითრების უნარს
- კრიტიკული ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარს
- არგუმენტირების უნარს
- პრობლემის გადაწყვეტის უნარს
- ეთიკური ღირებულებებით ოპერირების უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტს სწორად ესმის აღწერილი ქეისის არსი და მისი კონტექსტი, დასმულ ამოცანას წყვეტს ეფექტურად
- აქვს თეორიული მასალის სისტემური ცოდნა, გააზრებული აქვს და იყენებს ეთიკის ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.
- აქვს კლინიკური მოვლენის ანალიზისა და დასკვნის გაკეთების უნარი

მარტივი ტესტი/ქვიზი

მეთოდი ავლენს:

- ერთი თემის ფარგლებში მასალის ცოდნის დონეს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი კონკრეტულ პასუხებს სცემს დასმულ კითხვებს.
- პასუხები სწორია, ეფუძნება განვლილ თეორიულ მასალას და სემინარულ მუშაობას (პროფესორმა სილაბუსში შეიძლება განსაზღვროს ტესტის შესრულების დრო და/ან თითოეული კითხვის წონა).

კომბინირებული ტესტი

მეთოდი ავლენს:

- მასალის ცოდნას რამდენიმე თემის ფარგლებში სხვადასხვა ასპექტით

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტუდენტი ამომწურავ და ნათლად ჩამოყალიბებულ პასუხებს სცემს დასმულ კითხვებს. პასუხებით ვლინდება განვლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა დისციპლინის კონტექსტში.
- ანალიტიკური კითხვების არსებობის შემთხვევაში პასუხებით უნდა ვლინდებოდეს კრიტიკული აზროვნება, ადეკვატური მეთოდების გამოყენების უნარი (პროფესორმა სილაბუსში შეიძლება განსაზღვროს ტესტის შესრულების დრო და/ან თითოეული კითხვის წონა).

ჯგუფური სასწავლო/პრაქტიკული ხასიათის პროექტი

მეთოდი ავლენს:

- სასწავლო/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შექმნის/განხორციელების უნარს
- ჯგუფში ინტეგრირების/კომუნიკაციის უნარს
- მასალის კრიტიკულად გააზრების უნარს
- რთული პრობლემის გამოკვეთისა და გადაჭრის გზების ძიების უნარს
- სოციალური და ეთიკური საკითხების ასახვის უნარს
- მონაცემების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, დასკვნების გაკეთებისა სტრუქტურირების უნარს
- პროექტის წარდგენის უნარს

შეფასების ძირითადი კრიტერიუმები:

- სტრუქტურირებულია ლოგიკურად – შესავალი, მიმოხილვა/გაანალიზება/ პრობლემა /გადაჭრის გზები/დასკვნა
- ვლინდება კრიტიკული ანალიზისა და სინთეზია უნარი, გამოყენებული მეთოდები ადაეკვატური
- პრობლემის გადაჭრის გზები თეორიულ ცოდნაზეა დაფუძნებული, დასკვნები ლაკონური და არგუმენტირებულია
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უნარს
- ჯგუფის წევრების სწორად ესმით საკუთარი როლი ჯგუფში, პრეზენტაციის პროცესში მონაწილეობს ჯგუფის თითოეული წევრი.